მუშის განთავისუფლება
თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ქალა, როგორიც ანგრევს ავტორიტეტს
ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

მუშა

	1 წ.	6 თ.		3 თ.		1 თ.	
	მ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.
თბილისში.	5	2	50	1	25	—	50
თბილ. გარ.	6	3	—	2	—	—	60
საზღ. გარ.	10	5	—	3	50	—	1

შინაარსი:

1) პასუხი მუშებს. 2) ფელეტონი: პარლამენტარიზმი და პირდაპირი მოქმედება. 3) რას ვუცდით? 4) ახალი ამბები. 5) რუსეთის ქრონიკა.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს.; საღამოს 5 ს.—7 საათ.

ადრესი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქ., № 117.

№ 9 ხუთშაბათი 15 ივნისი 1906 წ. თბილისი № 9

2. პასუხი მუშებს.

მაპატიეთ, მუშებო, თუ თქვენ, ეგრედ-წოდებულ ხელმძღვანელებს, ს.-დ.—ებს პატივის ცემით ვერ მოვეპყარი, ნუ ჩასთვლით თავს შეურაცხ-ყოფილად ჩემ მიერ. კაცს რომ მაგალითად მღვდელი, ეპისკოპოსი და მთელი საეკლესიო საავაზაკო რომ არ უყვარდეს, რომელთაც აგრეთვე სჩვევია ,,ხელ-მძღვანელობა'' ,,სამწყსოსი'',—ეს განა იმას ნიშნავს, რომ მას არც ეს ,,სამწყსო'' უყვარს და შეურაცხყოფს მას?—სრულიადაც არა. მე, მაგალითად, მუშის ყველა ეგრედ წოდებული ,,ხელ-მძღვანელები'', მეზიზღება, რადგანაც ვიცი მათი საქმეები, თუ რა ჩაუდენიათ მუშათა მიმართ მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში, ვიცი ეს და მიტომაც არის ჩემი იდეალი: განთავისუფლდეს მუშა ყოველ ამგვარ ხელ-მძღვანელთაგან და თავისი შეგნებით, თავისივე ძალ-ღონით განთავისუფლდეს ყოველ-გვარ გაბერილ ხელ-მძღვანელთაგანაც და ყოველ სხვა ბატონთაგანაც. მე მართლაც მრწამს თვით მუშების დევიზი,—მუშათა განთავისუფლება უნდა მოხდეს თვით მუშათა მიერო,—და მიტომ არა ვსთვლი ნამდვილ სოციალისტად არც ერთ „სოციალისტურ“ პარტიას, რომელსაც მიზნად გაუხდია მუშათა „ხელმძღვანელობა“, ე. ი. მათი ხელში ჩაგდება, მათი გაფანატიკოსობა, მათ ზურგზედ თავისი დიდების აშენება და პირადი თავ-მოყვარეობის დაკმაყოფილება. იყო დრო, ევროპაში მაგალითად, როდესაც მღვდლები ჰპატრონობდნენ და ხელ-მძღვანელობდნენ მუშებს,—ეხლაც არის ბევრი მუშათა ოჯახი, რომელნიც მღვდლების გავლენას ემორჩილება,—და ეს „ღვთის მსახურნი“ ჩემთვის საზიზღარნი და მავნებელი ქმნილებანი არიან. შემდეგ მათი ადგილი სოც.-დემ—ამ და სხვა „პოლიტურმა პარტიებმა“ დაიკავა, ჩვენში კი მართო სოც.-დემ—იასა ჰყავს შეპყრობილი ხალხი და კერძო საკურთების უფლებასაც კი სჩემობს მაზზედ, თითქოს მფლობელობით დაეტოვებოს იგი. ევროპაში თითქმის სულ განთავისუფლდა ხალხი მათი კლანჭებიდგან,—გერმანიისა და ბელგიის გარდა,—ჩვენში კი ჩემთვის სასურველია, რომ განთავისუფლდეს!—ამაზედ მოგდისთ გული, მუშებო? დარწმუნდით,—უსაფუძვლო გულის მოსვლაა და წყრომაა, თუ დაუფიქრდებით.

თქვენ იწყინეთ, — ანარქისტებს უნდათ ჩვენს თვალში დაამცირონ სოციალ-დემოკრატია და თავისი ხალხი უნდა გაიყვანონ ხალხშიო. მაგრამ ეს უსაფუძვლო ბრალდებაა, რადგანაც ჩვენი სწავლა მოძღვრება არც ნებასა და არც შეძლებას არ გვაძლევს ამგვარ მიზანს ვემსახუროთ. ჩვენ უარსა ვყოფთ ყოველივე სახელმწიფოებრივ დაწესებულებას, რომელიც დამყარებული იქმნება საყოველთაო და ფარ. კენჭის ყრაზედ, მაშასადამე თქვენი კენჭების მოხარბე არა ვართ, ჩვენ არ გვინდა თქვენი არჩევნები, რომ შემდეგ ისევ ზურგზედ დაგვაჯდეთ ჩვენი გამოცემული კანონებითა და სარჩენად გაგიხდეთ. აბა თუ გახსოვთ როდისმე, რომ სადმე კენჭის ყუთი დაგვედგაო, ან შეგხვეწოდით,—ჩვენ, ანარქისტები ამოგვირჩიეთ-მეთქი. ჩვენთვის არც ქალაქის საბჭოში სადეპუტატოთ ხმა, არც პარლამენტებში, არც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ჩვენ არც გვითხოვნია არავითარი დიდება მუშა ხალხისათვის, არც ეხლა ვითხოვთ, და არც არასოდეს. თუ მათ უწოდონ სოციალიზმი პარლამენტში ,,წარმომადგენელთა'' გაყვანას, ვინც მუდამ იდგამდა თავისი პირით ბედნიერების ტახტს ხალხის ზურგზედ, ან ხალიხს კონჭებზედ, ვინც ბურჟუებით გაავსო ყველგან და რუსეთში და ჩვენში მთელი სოციალისტური პარტია,—ჩვენ კი სოციალიზმი სულ სხვანაირად გვესმის და თავის დღეში ადამიანი ვერ შემოგვწამებს ვერც დემაგოგობას, ვერც ხალხის მოტყუებას, თუ არ უნდა მართლაც ცილის მწამებელი გველი გამოდგეს და თავისივე ულოლიკობისა და უცოდინარობის ბოლოს და ბოლოს თვითონვე არ შერცხვეს. მაშ ამ მხრით ხომ არა გაქვსთ რა სამდურავი, მუშებო, ანარქისტებთან? ამ მხრით მათ რა დაგიშავეს, რა მოგთხოვეს? შეიძლება ჩვენი სოციალიზმი არ მოგწონს? თუ ეს ასეა მაშინ კიდევ გავიმეორებთ, თუ როგორია ჩვენი სოციალიზმი და იმედი მაქვს მოგვწონებათ.

ჩვენი სოციალიზმი ისეთია, როგორიც იდეალათ ჰქონდათ დასახული საერთა-შორისო მუშათა კავშირის წევრებს,—მუშებს: ყველა საწარმოვო იარაღები,—მიწა და სამრეწველო ქარხნები და ფაბრიკები მუშათა თავისუფალ კავშირთა ხელში იქნება. ეს კავშირები შეეკვრიან ერთმანეთს ფედერატიულად და თავისუფლათ მოაწყობენ წარმოებას. აღარა იქნება აღარც კლასები, აღარც მძარცველები და მგლეჯელები, აღარც სახელმწიფო, ე. ი. ჯარი, პოლიცია, მსაჯული, საპყრობილე და ჯალათი, ამაზედ თავისუფალი, კომუნისტური წარმოება, თავისუფალი კავშირი მშვენივრად, მეცნიერულად აღზრდილ მწარმოებელთა შორის, რომელთაც ძალდატანება და კისერში ცემა აღარ დასჭირდება, რომ ცხოვრების საერთო მიმდინარეობაში მიიღოს გონიერი მონაწილეობა. ეს არის ანარქია და არა „არევ-დარევა“ როგორც გეუბნებიან მუდამ თქვენი პატიოსანი და სხვისი აზრის პატივის მცემელი ხელმძღვანელი სოც.-დემოკრატები. მოიგონეთ გურიის მოძრაობა. იქ თვითოეულ სოფელსა ჰქონდა თავისი პატარა თავისუფლება; აღარც პოლიციელი, აღარც მღვდლის ბატონობა, აღარც მემამულისა, აღარც მსაჯულისა,—ყოველივე გაჰქრა. სახელმწიფო უარ-ყოფილ იქმნა. წარმოიდგინეთ, რომ გურიის სოფლებმა საზოგადოდ გამოაცხადეს ყველა მიწები, თვითეულ სოფელში, მოიტანეს საუკეთესო იარაღები სამუშაოდ, ყველა შეუდგა მუშაობას და ნამუშავრით ყველა იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებისამებრ. წარმოიდგინეთ, რომ ამგვარად მოაწყეს საქმე ყველა სოფლებმა და მერე შეერთდენ თავისუფლად. ვსთქვათ, რომ ქალაქებშიდაც იგივე მოახდინეს მუშებმა და ასე, ამგვარად მთელ ქვეყანას, ან მარტო ევროპას მოედო ამგვარი წესი ცხოვრებისა. თვითოეული თემი თავის წარმოების სახსართა მიხედვით თავისუფლად აწარმოებს და იმავე დროს შეკავშირებული სხვა მწარმოებელ თემებთან წარმოებითი კავშირით. მათ შორის მუდმივი დამოკიდებულებაა, მუდმივი ცვლა ნაწარმოებთა, საწარმოო იარაღთა და აგრეთვე აზრთა. მათ შორის ძალა-დამტანებელი არა არის რა, არამედ ბუნებრივი, თავისუფალი და მოთხოვნილებათა მიერ გამოწვეული ათასნაირი ურთი-ერთობანი.—აიღეთ ამგვარად მოწყობილი საზოგადოება და ეს არის, ის, რასაც ჩვენ კომუნიზმს ვუწოდებთ.

— გურიაში ხომ აღარ იყო არც პოლიციელი, არც მსაჯული, არც საპყრობილე და წამება ადამიანის,—შემდეგ, ზემოხსენებულ საზოგადოებაში სრულიად მოსპე, ძირიანად ამოაგდე ყველა დაწესებულებანი, რომელნიც გურულებმა უარ-ჰყვეს,—და ეს იქნება ანარქია, ე. ი. ის წესი ცხოვრებისა, როდესაც აღარც პოლიცია, აღარც ჯარი, მსაჯული და ციხე აღარ იქნება. მაშასადამე ჩვენი სოციალიზმი —კომმუნისტიური და ანარქიულია. ეს არის ჩვენი იდეალი. შეადარეთ იგი არა იმას, რაც სოც.-დემოკრატების წიგნებში ამოგიკითხავსთ (მათი კოლლექტივიზმი), არამედ იმას, რაც თქვენი სურვილია, თქვენი იდეალი,—და სთქვით,—არა ხართ თქვენც ამ მხრით ,,ანარქისტები?'' მაშ რაღა სამდურავი გაქვთ ამ მხრით ჩვენთან?

ან იქნება ჩვენი ბრძოლის საშუალებანი არ მოგწონთ? ვნახოთ, როგორ იბრძვიან ს.-დ-ები და როგორ იბრძვიან ანარქისტები. არ გეწყინოთ, და გულ ახდილად გეტყვით, რუსეთში და განსაკუთრებით საქართველოში, ხარკის დადება და უდანაშაულო კაცის კვლა რომ გამოვაკლოთ, ს.-დ-ები ანარქისტულად იბრძოდენ! მაგრამ აქ არა გაგიკვირდესთ რა, ეს იმიტომ რომ რევოლიუციის ქარიშხალი ჰქროდა ჩვენში და რევოლიუცია კი ძალა-უნებურად ანარქისტებს ხალხს. ესეთია რევოლიუციის კანონი. საყოველთაო გაფიცვა, შეიარაღებული აჯანყება, ტერროორი,—ყველა ეს ის წესებია ბრძოლისა, რომელნიც კი ხანიერ დაჰგმო საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიამ, მათ ბურჟუაზიული წესები უწოდა ბრძოლისა, და თანაც ისეთია იკლიკანტურობით, ისეთ ხელოვნურად, რომ სიტყვათა ზღვის ტალღებს გტყორცნიან, რომ

გაბედო და მაგალითად კაუცკის უთხრა,—რევოლიუციონერი არა ხარო. მაგრამ საქმე ხომ სიტყვებში არ არის, საქმე თვით შინაარსშია, და შინაარსით დღეს მთელი ევროპის ს.დ—ია მხოლოდ უბრალო შშვიდობიანია, კანონიერების თაყვანის-მცემელი დემოკრატიაა ⁄ სხვა არაფერი. თუ დღეს ევროპის ს.დ—ია რუსეთში რევოლიუციონურ მოქმედებას თანაუგრძნობს, თუ თვით რუსეთის ს.დ—ია რევოლიუციონერია დღეს, ამის მიზეზი, განვიმეორებთ, თვით რუსეთის დიდი რევოლიუცია, და ეს კი ს.დ—იის კერძო შემონაქმედი არ არის,—იგი 150,000 ხალხის ნაღვაწ-ნაშრომია! ავიღოთ, მაგალითად, საერთო გაფიცვა,—1886—88 წლებამდე ამერიკაში მხოლოდ ანარქისტები ჰქადაგობდნენ მას. 1886 წელს საყოველთაო გაფიცვის დროს 8 ჩვენი ამხანაგი დაღუპეს. პირველი დიდი საყოველთაო გაფიცვა ანარქისტების სისხლით შეიღება. და როდესაც საყოველთაო გაფიცვის განხორციელების აზრი პირველი მაისის დღესასწაულთან ერთად ევროპაში გამოვიდა, ს.-დ-ებმა პირველი დაჰგმეს, მეორე კი მართლაც დღესასწაულად გადააქციეს. მას უკან მთელ ევროპაში ს.-დ-ია წინააღმდეგი იყო საყოველთაო გაფიცვის, და ისეთ სასაცილო არგუმენტებს აყენებდა მის წინააღმდეგ, რომ სასაცილოა მათი კრიტიკაც. შემდეგ, როცა თვით მუშებმა მიიღეს ეს საშუალება ბრძოლისა და შეიმუშავეს იგი, რამოდენიმეჯერ სინჯეს და მოეწონათ, როდესაც მუშები შეერთდენ ამ აზრზედ და თავიანთი სანდიკატებიდამ გამორეკეს ს.-დ-ები, გახდენ რა ნამდვილ რევოლიუციონურ პარტიათ გარეშე სახელმწიფოისა, ბურჟუაზიისა და კანონიერებისა,—მაშინ აყაყანდენ ს.-დ-ები და ეხლა, ცოტა არ იყოს თან და თან უფრო იღებენ საყოველთაო გაფიცვის პრინციპს. ისინი იძულებულნი არიან ესა ჰქმნან, რადგანაც მუშებს დაჰკარგავენ, და მუშები რომ დაჰკარგონ,—რაღა ეშველებათ ამდენ ადვოკატებს, უპრაქტიკო ექიმებსა და უნიჭო პედაგოგებს, ან სხვილსა და წვრილ ბურჟუებს?...

ეჰ! ბევრია სალაპარაკო საყოველთაო გაფიცვაზედა და ს.-დ—იაზედ. მაგრამ ეს შემდეგისთვის იყოს, ამ წერილში ჩვენ ვერ განვაგრძობთ დაწვრილებით ამ არა—სასიამოვნო ისტორიას.

მაშ საერთო გაფიცვა, მუშათა ორგანიზაცია სახელმწიფოს გარეშე, სახელმწიფოსთან და ბურჟუაზიასთან ბრძოლა,—ეს ჩვენი პრინციპები, რომელიც ერთ დროს მთელ ინტერნაციონალის პრიციპები იყო და რომელთაც ს.-დ—ები ჩამოშორდენ დღევანდლამდის, დღეს კი გარემოებათა ძალით მიიღეს რამოდენიმე მათგანი,—მაშ ეს პრინციპები არ მოგწონთ? თუ არა,—შეცდომაში ყოფილხართ და ჩვენი ვალიც ის არის, შეცდომაზედ მიგითითოთ; თუ მოგწონსთ,—მაშ ეს არის ჩვენი, ანარქიული წესი ბრძოლისა, და ამ მხრითაც საყვედურის ღირსნი არა ვართ.

Bâton.

(შემდეგი იქნება).

რას ვუცადოთ?

ბევრისაგან გაგვიგონია: ანარქიზმი თავისთავად კარგი რამ არის, ძალიან სასურველი, ყველასათვის ბედნიერების მომტანი და უსამართლო ცხოვრების სულ ერთიანად გარდამქნელი. მაგრამ,—დასძენენ ბრძენი ფილოსოფოსები,—მისი (ანარქიზმის) განხორციელება ეხლანდელ პირობებში ყოვლად შეუძლებელი და წარმოუდგენელიაო. ,,საქმის კაცები'' კი უფრო შორს მიდიან და გაიძახიან: ანარქია, როგორც უტოპია, ვერ განხორციელდება, და კიდევაც რომ განხორციელდეს, არ არის სასურველი, რადგან სარგებლობას და ბედნიერებას კი არა—ზარალს და დიდ უბედურებას მოიტანსო...

ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის გამორკვევას, თუ რამდენად სასარგებლოა ანარქიზმის განხორციელება, თუ რამდენი უპირატესობა აქვს ანარქისტულ სოციალიზმს სახელმწიფოებრივ სოციალიზმთან (იგულისხმეთ კაპიტალიზმთან), რადგან ეს უკვე გამორკვეულია ,,ნობათის“ ნომრებში, აგრეთვე ,,ხმა''-ში, ,,მუშა''-ში; დავანებოთ თავი იმასაც, რომ ანარქიზმი ... კარნახევია თვით ცხოვრებისაგან ... ემყარება ისტორიულ მსელელობ... რომ ისტორიული ტენდენციები ... მართული არიან ანარქიზმისაკენ ... მხოლოთ ანარქიზმისაკენ და ... გადავიდეთ იმის განხილვაზე, ... როგორ არგუმენტებსა ხმარობენ ... რათ და ხმლათ ჩვენი მოწინააღმ... გენი. ანარქიზმის განხორციელ... არსებულ, რეალურ პირობებში ... უძლებელიაო, და, მაშასადამე ... ქისტურ იდეების ქადაგება ტყუ... უბრალო წყლის ნაყვაო. მიზე... მიზეზი თურმე ის ყოფილა, ... უმრავლესობას არა აქვს ძალა ... რბილში გამჯდარი ანარქისტ... იდეები, რომ ანარქისტურ მოქ... ობას ბევრი, ძალიან ბევრი ... მტერი, და ამიტომ ანარქისტ... მოძრაობა არამც თუ ვერ მოიკიდ... ფეხს თანამედროვე საზოგადოებ... არამედ უდროოთ დალევს ჩაი... ლის წყალს და სამუდამოთ დას... ნებაო. დიახ, ასე მსჯელობს დ... ბევრი. ბევრს კიდევ ისეთი წ... მოდგენა შეუერთებია ანარქიზმთ... რომ თვალ-ყურზე ხელს იფარ... ბენ, რომ არ დაინახონ ის საშინ... ლება, რომელიც, მათის ფიქრ... თან სდევს ანარქიას, ან და არ გ... გონ მისი შემაძრწუნებელი ხმა. ... ტომ არ არის გასაკვირველი, რ... ამისთანა „მოაზრენი“ უარს ყო...

ფელეტონი

პარლამენტარიზმი და პირდაპირი მოქმედება.

ნაწილი პირველი: პარლამენტარიზმი.

წინასიტყვაობა.

სანამ ჩვენი საგანის გამოკვლევას შეუდგებოდეთ საჭიროა რამოდენიმე სიტყვა ვსთქვათ წინასიტყვაობად. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენებური სოციალ-დემოკრატია და მისი კანონიერი და არა-კანონიერი შვილები, მოკლებულნი ყოველ გონებრივ ღირსებას, ყოველ ლოიკურ ძალ-ღონეს, არგუმენტაციისა მაგივრად მოწინააღმდეგებთან ბრძოლაში, იარაღად მხოლოდ აზრთა დამახინჯებას ხმარობენ. რათა ამ გონებრივ მახინჯ-მეისტრებს მათი უკანასკნელი არგუმენტიც გამოვაცალოთ ხელიდან, საჭიროთ მიგვაჩნია, ფრანგული თქმულებისა არ იყოს, ყველა ი-ნებზე მსხვილი წერტილები დავასვათ მკაფიოდ.

ჩვენ ყოველგვარ სახელმწიფოს, ყ[illegible] ხელმწიფებრივ ორგანი[illegible] [illegible] [illegible] [

და (განა მარტო უარს ყოფენ?) დღეს დღეობით მონაწილეობა მიიღონ თანამედროვე კერპების დამსხვრევაში და მათ ნანგრევებზე ახალი ღირებულების, ანარქიის, ე. ი. მათი უარყოფის დამყარებაში. ჰო, ეს ასეა, რადგან ადამიანები დიდათ აფასებენ იმ საქონელს, რომელსაც ქვია „ახლა“, რადგანაც ძრწიან საშინელი სურათის არა თუ დანახვაზე, წარმოდგენაზედაც კი, ამიტომ მზათ არიან ისინი „ხელი მოაწერონ ყოველგვარ საშინელებას, მხოლოდ დღეს კი არა,—ხვალ, ზეგ“... (მომაყვეს ზეპირათ ბიდ-ბეის წიგნაკიდან).

უმრავლესობას რომ არ აქვს ძვალსა და რბილში გამჯდარი ანარქისტური მოძღვრება,—ეს ჩვენც კარგათ ვიცით; ძაგრამ ისიც ვიცით, რომ რევოლიუციას, დიდ საზოგადოებრივ გარდაქმნას, ქმნის უმცირესობა, რასაკვირველია რევოლიუციონური. ვიცით და არც გვაშინებს ის გარეძოება- რომ უმრავლესობა ჩვენი მტერია, რომ კაცობრიობის უმეტესი ნაწილი კოხსერვატიზმის წუმპეშია ჩაფლული; ვიცით აგრეთვე, რომ ამის გაგონებაზე „საქმის კაცები“ ერთ განგაშს ტ ვაი უბედურებას ასტეხენ ტ ენის მოსაფხანათ დაცინვის კილოთი გვეტყვიან: თქვენი მოძღვრება კაი ხანია „დამარხულია“ (sic!), რასაც თქვენვე ამოწმებთ, როცა ამბობთ, რომ უმეტესობა ჩვენი მტერიაო. საბრალოხო! როგორ ვერ შეგიგნიათ უბრალო ჭეშმარიტება, რომ უმრავლესობა ყოველგან და ყოველთვის ყოფილა და არის უსამართლობის და ძალმომრეობის განხორციელება, დამყარებული უხეშ ძალაზე? სად გინახავთ, ან გაგიგონიათ, რომ უმრავლესობას სამართლიანობა დაეცვას და რაიმე ახალი მოძღვრება მიეღოს? იცის თუ არა ისტორიამ ისეთი მაგალითი, რომ უმრავლესობა ჭეშმარიტების მხარეზე ყოფილიყოს და არ ედევნოს და არ ეწამებინოს მისი (ეშმ.) მატარებლები? არა, უმრავლესობა არის, ვიმეორებთ ჭეშმარირიტების მდევნელი ძალა. და, როგორც ასეთი, არ შეგვისლია მივაკუთვნოთ მას გადამწყვეტი ხმის უფლება ამგვარ შემთხვევებში. მაგრამ ამ აზრის უფრო ნათლათ გარკვევისთვის მივმართოთ ისტორიულ ფაქტებს. ავიღოთ, მაგ., სოკრატი, რომელმაც ჭეშმარიტებისთვის დალია სული სწორეთ იმ უძრავლესობის წყალობით, რომელიც სულს უხუთავდა ყოველ თავისუფალ აზრს ათინაში. ავიღოთ სპარტაკი, თავისუფლების მებაირახტრე ძველ რომში, ავიღოთ თუ გინდ თვით ქრისტე, რომლის მოძღვრებაც მიმართული იყო ძალმომრეობის, სახელმწიფოებრივობის, კანონის და სოციალურ უთანასწორობის წინააღმდეგ. ვინ აცვა იგი ჯვარს? თქვენისთანა „მწიგნობრებმა“ და თქვენებრ ფარისევლებმა, იმ უმრავლესობამ, რომელიც ალმაცერათ უყურებდა ნაზარეველის ქადაგებას. არა, ბატონებო, ეგ ძლიერ ვიწრო მასშტაბი გაქვთ საქმის ვითარების გასაზომავათ... ჰმ, დღეს ნიადაგი არ არის ანარქიზმის განსახორციელებლათო! კარგი და პატიოსანი, მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ ამას ამბობთ და მაინც „მეცნიერებათ“ და „მეცნიერულ“ სოციალიზმის იდეოლოგებთ მოგაქვთ თავი. ისეთი მეშჩახური აღლი, რომელიც თქვენა გაქვთ ყველაფრის გასაზომავათ, და ისეთი ვაკრული „ჩოთქი“, რომლითაც თქვენ ანგარიშობთ მოგება წაგებას, ესეთი საწყაო რომ ქონდათ ყველა ადამიანებს, მაშინ ისტორიას ვერ დაამშვენებდენ ისეთი პირები, როგორიც არიან გალილეი, ჯორდანო ბრუნო, კოპერნიკი და სხვ. ნუ თუ მასსის მეუნგებლობას უნდა შეეჩერებინა მხურვალე და პატიოსნებით სავსე გული გალილეისა, რომელიც მედგრათ და უშიშრათ ამხელდა ინკიზიტორებს, ბერებს და ხმა-მაღლა აღიარებდა სიმართლეს, ჭეშმარიტებას? ნუ თუ არ უნდა აპრიალებულიყო 1600 წ. რომის ქუჩაზე, ცივ თებერვალში კოცონი, რომელზედაც ზვარაკათ შეიწირა ჭეშმარიტებისთვის მებრძოლი ჯორდანო ბრუნო? ხუ თუ ქრისტე უნდა გაჩუმებულიყო, რადგან „ხიადგი არ იყო მოამზადებული“ მისი მოძღვრებისათვის, და არ ეტვირთა მას ის ჯვარი, რომელზედაც ის აცვეს? ნუ თუ სოკრატი არ უნდა შებრძოლებოდა სოფისტების წაჯეკ-უკუჯეკობის შკოლას, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ძოელოდა საწამლავით სავსე ფიალის დაცლა? ნუ თუ უნდა გაეკმინდათ ხმა რენესანსის (აღორძინების) ეპოქის დეკადენტებს და არ შებრძოლებოდნენ საშუალო საუკუნოების კერპებს? არა, და არა! სიძართლისათვის არა სდუმენო, თუ როგორღაცაა ნათქვამი და ამიტომ, თუ ჩვენ ვართ გულწრფელი ადამიანები და გვრწამს ჩვენი იდეების, პრინციპების სისპეტაკე, ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში უნდა ვეცადოთ მათ გავრცელებას და ჭეშმარიტების გამეფებას; უნდა შეუპოვრათ ვიბრძოლოთ მის დასამყარებლათ, რა შედეგიც უნდა მოყვეს მას (ან კი რა შედეგი უნდა მოყვეს მას გამარჯვების მეტი?). მაშ, ჩვენი იდეების პროპაგანდა ეხლანდელ პირობებში წყლის ნაყვა არ ყოფილა. გაუგებარია ზოგიერთ „გულწრფელ“ ადამიანების „გულწრფელი“ რჩევა: მოიცადეთ, ჯერ ადრეა თქვენი იდეების ქადაგება, რადგან ნიადაგი მზათ არ არისთ, ვინ უდა მოგვიმზადოს ჩვენ ნიადაგი, თუ თვითონ ჩვენმა პროპაგანდ ა-აგიტაციამ არა? როდემდის და რას ვუცადოთ? არა, დაყოვნების დრო არ არის. მაშ, გაუძარჯოს ჭეშმარიტებას და მის გამომხატველ ანარქიის მგრგვინავ ხმას!...

ან-და-დონ.

და ფართოა, ხან ვიწრო და ღრმა არის, ხან ქვიტკირით არის ამოყვანილი და გადახურულია, ისე ალეპოტი ამოონბისა საზოგადოებათა ცხოვრებაში. სხვა და სხვავდებიან:—ხან ის აღმოსავლეთის დესპოტიაა, ხან მონარქიაა, ხან კონსტიტუციონალური მონარქია, ხან რესპუბლიკა ხან თეოკრატია, ხან ოლიგარხია, ხან პლუტოკრატია, ხან დემოკრატია,—ბაგრამ რა ღირსებისაც უნდა იყოს ალეპოტი, ძასშიდ მუდამ ერთი და იგივე ძონობის ძდინარე ძიმდინარეობს, რომელიც ხან ჩქარი, ძჩქეფი და წამლეკავია, ხან კი ცოტად დამშრალი, ძღრიევ და მყრალი. სახელმწიფო რეფორმისაც უნდა იყოს იგი, სახელმწიფო, როგორც უნდა გაუმჯობესებული იყოს, არის იარაღი მონობისა, სიბნელისა დაჩაგვრისა რეგრესისა, კონსერვატიზმისა ტ ჯალათი თავისუფლებისა, პროგრესისა, ცხოვრების წინსვლის და გაფართოებისა. სახელმწიფოებრივი ცხოვრება თავისუფალ კაცს, მოძავალ კაცობრიობას ისე არ ეფერება, ოგორც ვაეკაცს ბავშობის ფეხ-საცმელი. სახელმწიფო ხოლერაა, რომელიც კაცსა ფიზიკურად, ზნეობრივად, ეკონომიურად ნელის, ბაგრამ საშიხელის სიკვდილითა ჭკლავს. აი რისთვის წარსულში და მომავალში ძალასა ვჭკრეფთ, წარსულს, აწმყოს და მოძავალს იარაღადა ვხმარობთ ამ განმანადგურებელ ქირის თავიდან ასაშორებლად.

ძახინჯ—მეისტრებო! წმინდა გიორგისა სთხოვეთ, რათა ეოთხელ მაინც თქვეხს სიცოცხლეში მოგცესთ შეძლება სხვისი აზრის დაუმახიჯებლად განხილვისა. ,,ჯღიბებო'' პროლეტარიატისანო და მშვენიერი მეცნიერების უძღურნო მოტრფიალენო! სთხოვეთ სხვა რომელიმე უფრო ძლიერ წმინდანს, რათა ძან ძოგანიპოს თქვენ თუნდ რამოდენიმე წამით ნიჭი აზროვნებისა!

„კულტურის“ „დამცველნო“, და „მოყვარულნო“ კულტურისა ტ პროგრესის ისე მხედველხო, როგორც ტფილისში მყოფი ბრმა ტემზის ხიდზე გდებულ ნეძსის ყურს ხედავს, ნუ შეჯდებით ვირზედ, გაანძრიეთ ტვინი, ძერწმუნეთ არ გასკდება... რადგან არც ისე ზორბაა თქვენ რომ ბგონიათ!..

მეორე მხრით, ჩვენი მუდმივი კრიტიკა პარლამენტარიზმისა იმით აიხსნება, რომ ჩვენ პარლამენტარიზმს ჩვენი იდეალის—სოციალიზმის—განხორციელების მხრივ, შუმთა კლასსიური და მხოლოდ კლასსიური იხტერესების მხრივ უფურებთ და არა იმის მხრივ სკოლის თუ არა პარლამენტარიზმი თვითმერხოლობით მოსარქაკს. მხოლოდ ამ უკასსკნელ შემთხვევაში აღსაშსულ თვალხედვით ისრით რომ ვისარგებლოთ

მელიც ალმაცერათ უყურებდა ნაზარეველის ქადაგებას. არა, ბატონებო, ეგ ძლიერ ვიწრო მასშტაბი გაქვთ საქმის ვითარების გასაზომავათ... ჰმ, დღეს ნიადაგი არ არის ანარქიზმის განსახორციელებლათო! კარგი და პატიოსანი, მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ ამას ამბობთ და მაინც „მეცნიერებათ“ და „მეცნიერულ“ სოციალიზმის იდეოლოგებთ მოგაქვთ თავი. ისეთი მეშჩახური აღლი, რომელიც თქვენა გაქვთ ყველაფრის გასაზომავათ, და ისეთი ვაკრული „ჩოთქი“, რომლითაც თქვენ ანგარიშობთ მოგება წაგებას, ესეთი საწყაო რომ ქონდათ ყველა ადამიანებს, მაშინ ისტორიას ვერ დაამშვენებდენ ისეთი პირები, როგორიც არიან გალილეი, ჯორდანო ბრუნო, კოპერნიკი და სხვ. ნუ თუ მასსის მეუნგებლობას უნდა შეეჩერებინა მხურვალე და პატიოსნებით სავსე გული გალილეისა, რომელიც მედგრათ და უშიშრათ ამხელდა ინკიზიტორებს, ბერებს და ხმა-მაღლა აღიარებდა სიმართლეს, ჭეშმარიტებას? ნუ თუ არ უნდა აპრიალებულიყო 1600 წ. რომის ქუჩაზე, ცივ თებერვალში კოცონი, რომელზედაც ზვარაკათ შეიწირა ჭეშმარიტებისთვის მებრძოლი ჯორდანო ბრუნო? ხუ თუ ქრისტე უნდა გაჩუმებულიყო, რადგან „ხიადგი არ იყო მოამზადებული“ მისი მოძღვრებისათვის, და არ ეტვირთა მას ის ჯვარი, რომელზედაც ის აცვეს? ნუ თუ სოკრატი არ უნდა შებრძოლებოდა სოფისტების წაჯეკ-უკუჯეკობის შკოლას, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ძოელოდა საწამლავით სავსე ფიალის დაცლა? ნუ თუ უნდა გაეკმინდათ ხმა რენესანსის (აღორძინების) ეპოქის დეკადენტებს და არ შებრძოლებოდნენ საშუალო საუკუნოების კერპებს? არა, და არა! სიძართლისათვის არა სდუმენო, თუ როგორღაცაა ნათქვამი და ამიტომ, თუ ჩვენ ვართ გულწრფელი ადამიანები და გვრწამს ჩვენი იდეების, პრინციპების სისპეტაკე, ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში უნდა ვეცადოთ მათ გავრცელებას და ჭეშმარიტების გამეფებას; უნდა შეუპოვრათ ვიბრძოლოთ მის დასამყარებლათ, რა შედეგიც უნდა მოყვეს მას (ან კი რა შედეგი უნდა მოყვეს მას გამარჯვების მეტი?). მაშ, ჩვენი იდეების პროპაგანდა ეხლანდელ პირობებში წყლის ნაყვა არ ყოფილა. გაუგებარია ზოგიერთ „გულწრფელ“ ადამიანების „გულწრფელი“ რჩევა: მოიცადეთ, ჯერ ადრეა თქვენი იდეების ქადაგება, რადგან ნიადაგი მზათ არ არისთ, ვინ უდა მოგვიმზადოს ჩვენ ნიადაგი, თუ თვითონ ჩვენმა პროპაგანდ ა-აგიტაციამ არა? როდემდის და რას ვუცადოთ? არა, დაყოვნების დრო არ არის. მაშ, გაუძარჯოს ჭეშმარიტებას და მის გამომხატველ ანარქიის მგრგვინავ ხმას!...

ან-და-დონ.

ბა შეეჯარდოთ ერთმანეთს შეუხდეგ ბოხარქია და პარლამენტარიზმი, ჩვენთვის სრულიად საძეველო არ იქნება ადაირება ამისა, რომ ამ უკასსკნელს ძარდა აქვს ხოგიერთა უპირატესობა. ბურჟუაზიული პარტიები—სოციალდემოკრატია და მისი კანონიერი და უკანონო ძვილები, მაგალითად—ასეც იქცევიან. ისინი სახ ხოგადო იხტერესების თვალხედვითი ისრით ითვალისწინებენ პარლამენტარიზმს და ამისათვის მათი საუბარი პარლამენტარიზმზე და კონსტიტუციაზე პარლამენტარიზმის და კონსტიტუციის თავ- ძეუკავებელი აპოლოგიაა. შეუძლებელია, რომ სოციალისტს-პარლამენტარისტს ორი თვალხედვითი ისარი არ ჭქონდეს. ის ერთი ძხრით სოციალისტია, ძეორე მხრით-ბურჟუა. სოციალდემოკრატია და მისი მუშები ამ ორ თვალხედვით ისარს ერთძანეთზე ატყეპენენ და გამოსდისთ სოციალ-(სოციალისტური) დემოკრატიული (ბურჟუაზიული) თვალხედვითი ისარი. ევრიკა მეცნიერული სოციალიზმი! სოციალ-დემოკ. ან უფრო საზოგადოთ რომ ვსთქვათ, სოციალისტ-პარლამენტისტობა ორ-პირობაა. როცა მაგალითად სოციალდემოკრატი გელაპარაკებათ და პირი თქვენკენ აქვს, დარწმუნებული იყავით, რომ თუ ის სოციალისტურ პირსა გიჩვენებსთ ბურჟუა

ზედ შეეჯარდოთ ერთმანეთს შეუხდეგ ბოხარქია და პარლამენტარიზმი, ჩვენთვის სრულიად საძეველო არ იქნება ადაირება ამისა, რომ ამ უკასსკნელს ძარდა აქვს ხოგიერთა უპირატესობა. ბურჟუაზიული პარტიები—სოციალდემოკრატია და მისი კანონიერი და უკანონო ძვილები, მაგალითად—ასეც იქცევიან. ისინი სახ ხოგადო იხტერესების თვალხედვითი ისრით ითვალისწინებენ პარლამენტარიზმს და ამისათვის მათი საუბარი პარლამენტარიზმზე და კონსტიტუციაზე პარლამენტარიზმის და კონსტიტუციის თავ- ძეუკავებელი აპოლოგიაა. შეუძლებელია, რომ სოციალისტს-პარლამენტარისტს ორი თვალხედვითი ისარი არ ჭქონდეს. ის ერთი ძხრით სოციალისტია, ძეორე მხრით-ბურჟუა. სოციალ-დემოკრატია და მისი მუშები ამ ორ თვალხედვით ისარს ერთძანეთზე ატყეპენენ და გამოსდისთ სოციალ-(სოციალისტური) დემოკრატიული (ბურჟუაზიული) თვალხედვითი ისარი. ევრიკა მეცნიერული სოციალიზმი! სოციალ-დემოკ. ან უფრო საზოგადოთ რომ ვსთქვათ, სოციალისტ-პარლამენტისტობა ორ-პირობაა. როცა მაგალითად სოციალდემოკრატი გელაპარაკებათ და პირი თქვენკენ აქვს, დარწმუნებული იყავით, რომ თუ ის სოციალისტურ პირსა გიჩვენებსთ ბურჟუა

უკან აფარია და თუ ბურჟუაზიულ სახეს გიჩვენებსთ, თავის დაქლეჭანებული სოციალიზმი უკან აქვს ამოფარებული. მართალი რომ სთქვას კაცმა, სოციალ პარლამენტიზმის (მაგ. სოციალ-დემოკრატია) ერთ სხეულზე ორი თავი, ერთი სოციალისტური (თუმცა ქლექიანი), მეორე ბურჟუაზიული (ძალიან მსუქანი, ღიპიანი და ,,ფაშვიანი'') არის ისე დასკუპებული, რომ მას სახელად ყველაზე უფრო იანუსიზმი შეეფერება. ეს იანუსობა სოციალ-დემოკრატიას სიხარბით დაეძართა. სწორედ ისე, თხა რომ ეკლნარში შევა და თვალები დაიბლიცება, აქეთაც ბურჭია იქითაც ბურჭია, ასე რომ აღარ იცის, რომელს ეკეს და რომელი დაკორტნოს, ისე სოციალ-დემოკრატიას როცა ის სოციალურ მეცნიერების მიდამოში შევიდა თვალები დაებლიც იმდენი სხვა-და-სხვა თვალთ ისარი დაინახა, აქედ ეცა იქით ეცა და ბოლოს წაავლო ხელი ერთ ტურფას (სოციალიზმს) და ერთ ყიპიან და ,,ფაშვიან'' ზლანზ, ლოყაჩრწიისებურ რაღაცას (დემოკრატია) და ეს ორი გადაკვინწლა ერთძანეთში. ტურფა (სოციალიზმი), რაკი დაიბეს ის ნაძალადევად თავზე მოხვეულ საყვარელთაგ, ქე დაქლექდა და ზლანზი, ლოყაჩრწიისებური რამე კიდევ უფრო დაზლანზდა და დალოყაჩრწიავდა: რაც

ახალი ამბავი

— რა ამბავია ჯარში. როგორც ბათუმიდან გვატყობინებენ, 11 ივნისს, ღამე, ქალაქს გარედ ბათუმის გარნიზონის სხვა და სხვა ნაწილის ჯარის-კაცებს მიტინგი გაუმართავთ. ეს ამბავი შემთხვევით თურმე გაიგო სამხედრო მთავრობამ. მსწრაფულ გაჰგზავნეს ქალაქიდან ყაზახები. მიტინგი, რომელზედაც მრავალი სიტყვა წარმოითქვა, დაიშალა. არ გასულა დიდი დრო, რომ ყაზახები შემოერტყნენ სანაღმო როტას და არტილერისტთა ერთ ნაწილს. სამხედრო მთავრობამ სხვა და სხვა ზომები მიიღო. ეხლა თბილისიდან ბათუმში ამ საქმის გამო გენერალს მოელიან. საზოგადოდ იმ ბოლო დროს ჩვენებურ ჯარში რაღაც მითქმა-მოთქმაა. მიტინგი გაუმართავს აგრეთვე ხაშურშიც იქ მყოფ სარკინისგზო ბატალიონს. რაღაც მითქმა-მოთქმაა ფოთის ჯარშიაც. (შრომა).

— სროლა. სურამიდან გვატყობინებენ: 11 ივნისს, ღამის ასე პირველი საათი იქნებოდა აქ დაბანაკებულ ჯარში სროლა ასტყდა სულ ჩვიდმეტჯერ გაისროლეს. ჯერ დაწვრილებით არ ვიცით, რომ გამოიწვია. (შრომა)

— ქარხნის დაკეტვა. ბათუმში, ადგილობრივ გაზეთის „ზარია“-ს სიტყვით, როტშილდის ქარხანას გადაუწყვეტია, სრულიად დაკეტოს ქარხანა. ფესტი და ხე-ტყის მასალა საზღვარ-გარეთ გაიქეთ. (შრომა)

— როგორც გვატყობინებენ ბათუმის ჯარებში ამბოხება ყოფილა. არეულობა ზოგიერთი ჯარის კაცების დაჭერას გამოუწვევია.

— გენერალ-გუბერნატორს სამართლიანათ უცვნიათ მეპურეთა მსახურების მოთხოვნილებანი და სთხოვს ქალაქის თავს დახმარება აღმოუჩინოს მათ მოთხოვნილებას 10 საათის მუშაობა დღეზე, მუშების ტანსაცმლის მასპინძლის ხარჯით ჩაცმაზე, საცხოვრებელი ადგილის გაუმჯობესობაზე და სხ.

— 12—13 ივნისამდე თბილისის ეპარქიის სამღვდელოებამ სხვათა შორის გაარჩია საქმე მღვდლის ვოსტორგოვისა, რომელსაც ბრალდება გაფლანგვა საზოგადოების 2,000 მან. სამღვდელოებამ დაადგინა იშუამდგომლონ, რომ ვოსტორგოვი სამართალში იქმნეს მიცემული და ფულიც სასამართლოს საშვალებით ეძიონ.

— ამავე კრებამ დაადგინა ამიერიდან ეპარქიალური სასწავლებლის უფროსი და ინსპექტორი არჩეულ იქნენ, და არ ინიშნებოდენ მთავრობის მიერ, როგორც აქამდე.

რუსეთის ქრონიკა

— რიაზანში ჯარის კაცთ მოახდინეს ამბოხება. გასტეხეს ტანსაცმელის საწყობი, სადაც ინახებოდა ტყვია წამალი და დაიწყეს სროლა ჰაერში. მათ უნდოდათ გადაეწვათ ბატალიონის უფროსს კარავი. პოლკოვნიკ ლევენკოს გამოუცხადეს, მოეხსნას სამხედრო წესები და მისცეს მათ ნება თავისუფლა სიარულისა ქალაქში. პოლკოვნიკი დაჰპირდა აუსრულოს მათ მოთხოვნილებანი.

—

„ბირჟ. ვედ.“ სიტყვით გაფიცულან მუშები სასახლის პოსტავშჩიკისა ფილიპოვის, ფეტიბერგის და გოლლერბახის პურის საცხობებში.

—

„XX ვეკში“ მოყვანილია გენერალ რენენკამფის მიერ მოტანილი ღვაწლი სამშობლოსადმი, ზაბაიკალის რკინის კზის დაშიშმინების დროს: ვერხნეუდინსკში ჩამარხჩო—5 კაცი, შილკაში დახვრიტა—8 კაცი, შიტაში მოაკვლევინა—4 კაცი. კატორგაში გაგზავნა და საპყრობილეში დაატუსაღა 50 მეტი კაცი. მათ შორის ბევრია მაღალი სამსახურის პატრონნი.

—

სევასტოპოლში „ნოვ. ვრემ.“ სიტყვით აჯანყებულან ჯარის კაცნი 1 ციხის არტილერიისა.

—

რეველში მეორეჯელ გადაუტანია სამხედრო სასამართლოს კვდილით დასჯა გლეხს გოლდბერგ ბორორტ-გამნძრახვისათვის გორ ვოის სიკვდილზედ. (ბ. ა.).

—

შენშინის მამულში ორ მაზრაში გადაუწვამთ მთელი სა კარი და გლეხები გფიცულან მუშავონ მის მამულში.

—

ტულაში აგრარული მოძრ დღითი-დღე მძვინვარდება. არ ბები ხდება ბოგოროდიცის, გენ ედრემოვის, ეპიფანოვის და მაზრებში. გლეხები ცეცხლ დებენ მემამულეთა სასახლეს ჯეულობას სძარცვანენ, საქონ მიჰყამთ თავიან სახლებში, გლ ჰქელავენ მემამულეთა ნათ ჰკაფავენ ტყეს. შრაიკბრეხ გლეხები ცემა-ტყეპით ისტ ბენ.

რედაქტორ-გამომცემელი

მიხეილ დიას

ტურფას მოაკლდა ის მას შეემატა. ბევრი ეცადა და უბერა სული ზედ სოციალ-დემოკრატიამ ეგებ რამე უშველო საქმეს, გამოვაკეთოო, მაგრამ იანუსიზმის მეტი არაფრამდის არაფერი არ გამოუვიდა. Tu l'auras voulu Georges Dendin—რაც მოგვივა დავითაო, ყველა შენი თავითაო ასეთია სიხარბე და თვალთ ისრის მეტის მეტი ,,სიფართოვის'' სიყვარული!

რაც შეგვეხება ჩვენ, სოციალ-დემოკრატიისებური ,,სიფართოვე'' თვალ-ხედვითი ისრისა ღმერთმა გვაშოროს. ჩვენ არც ისე გაუმაძღრები ვართ: ერთი თვალხედვითი ისარი — სოციალისტური — გვეყოფა. ჩვენ მხოლოდ ამ მხრივ ვითვალისწინებთ პარლამენტარიზმს, ჩვენ არ ვკითხულობთ რა მოაქვს პარლამენტარიზმს სხვა და სხვა საზოგადოებრივ კლასებისათვის, ჩვენ ვკითხულობთ მხოლოდ იმას თუ რა მოაქვს მას მუშათა კლასისათვის, მხოლოდ და კერძოდ მუშათა კლასისათვის. სცვლის პარლამენტარიზმი მუშათა მდგომარეობას, აფართოებს მის უფლებებს, ათავისუფლებს მას სარევოლიუციო პირდაპირი მოქმედების საჭიროებისაგან? აძლევს ის მას რაიმე ახალ იარაღს თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ან სოციალიზმის დასამყარებლად? გამოიცვალოს უნდა პროლეტარიატის სარევოლიუციო ტაქტიკა პარლამენტის დამყარების შემდეგ? აი კითხვები, რომელნიც ჩვენ გვაინტერესებენ, აი რა მხრით განვიხილავთ ჩვენ პარლამენტარიზმს.

მთელი არგუმენტაცია პარლამენტარიზმის მომხრეთა შეიძლება გაყოფილ იქმნას ოთხ კატეგორიათ. ამ ოთხ კატეგორიის არგუმენტებს მიზნად აქვსთ დაამტკიცონ ოთხ გვარი სარგებლიანობა და მნიშვნელობა პარლამენტარიზმისა:

1. პარლამენტარიზმი არის ნიშანი შედარებით მეტ თავისუფლებისა, ის არის რეჟიმი კულტურული განვითარებისა, ევოლიუციის გზის გახსნის და უფლებავან ნიადაგზე ბრძოლისა სხვა და სხვა საზოგადოებრივ კატეგორიათა შორის. ის თანასწორობაა, მაგრამ მხოლოდ პოლიტიკური თანასწორობაა, რადგან ის ამყარებს ყველას თანასწორობას კანონისა წინაშე.

2. სოციალიზმი შორეულია, სანამ ის განხორციელდებოდეს ბევრი წყალი გაიელის, ბევრი ტურა იქყავლებს. საჭიროა იარაღი მუშათა და მაშრალთა აუტანელ მდგომარეობის ცოტა შესამსუბუქებლად და ეს იარაღი სწორედ პარლამენტია. პარლამენტი არის ის ორგანო, რომლის საშუალებით სამუშაო კანონმდებლობა შემუშავდება, რომლის საშუალებით გამოიცემის რეფორმები და განხორციელდების პოლიტიკები, რომელნიც ეხლავე შეიტანათს მისცემენ გაპირვრების მონობაში მყოფ მუშათა კლასს.

3. პარლამენტი სარევოლიუციო იარაღია. ის ორგანოა იმ კანონმდებლობისა, რომელიც აწესრიგებს სოციალურ ცხოვრებას და დირეკტიებს აძლევს მას.

ამისათვის საჭიროა ამ ორგანოს ხელში ჩაგდება, როცა ის ორგანო ხელში გვიქნება, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობის შეცვლა, ერთი სიტყვით მთელი სოციალური ცხოვრების დირექტივებისა გამოცვლა და გადასხვაფირება. პარლამენტი რომ ჩვენ ხელში იქნება, ჩვენს ხელში იქნება ქვეყანაც. ეს რომ ასე მოხდეს საჭიროა, რაც შეიძლება მეტი დეპუტატები გვყავდეს პარლამენტში, საჭიროა, რაც შეიძლება მალე შეეიძინოთ უმრავლესობა პარლამენტში. უმრავლესობა განაგებს მხარეს და ეს უმრავლესობა სოციალისტური იქნება, ის ეხლანდელ წეს-წყობილებას სოციალისტურზე შესცვლის. ეს დღესავით ნათელი და, მაშასადამე, მარ პარლამენტისა.ენ.

4. პარლამენტარიზმი საორგანიციო, საპროპაგანდო და საagიტ სახსარია. მისი დიდი მნიშვნელ მასსის პოლიტიკური აღზრდაა. ლამენტი უფასოთ შეძლებას გ ლევს ჩვენი აზრების გავრცელებ დეპუტატი იქ სოციალისტურ სა ვებს ამბობს, ბურჟუაზიულ პარტ კრიტიკის ცეცხლში ატარებს. სიტყვები ყველა ჟურნალ-გაზეთ იბეჭდება და ამ ნაირად ჩვენი ტენინა ბურჟუაზიის საფასოთ ვრ დება ხალხში. არჩევნების პროლეტარიატი ავშირდება ზეიერული პროგრამის ნიადაგზ მაშასადამე, სარევოლიუციო არ კონცენტრაცია ხდება. ესეც ვით ცხადია და კიდევ მარშ... ლამენტისაკენ! მოკლედ და სრ რით აღნიშნული ასეთია ის ა მენტაცია, რომელსაც პარლამენ რიზმის მომხრენი ხმარობენ. ეს ხი კატეგორია დავამყარეთ ჩვენ ბ რი ფიქრის შემდეგ და არა გვ შეიძლებოდის ისეთი პარლამენ რიზმის გამამართლებელი არგუ ტის პოვნა, რომელიც არ შეიდიდ ერთ და ერთ აქ აღნიშნულ ო კატეგორიაში. განვიხილოთ ეხ დაწვრილებით ეს არგუმენტაცია გამოვაშკარავოთ ის გონებრივი ლოგიკური სიცარიელე, რომელ ამ გვარ არგუმენტაციას უძევს ს ჩულად.

კ. იდანი.

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისას, ოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა სახ. № 3.